ზუბკოვი ასწორებს შეცდომას

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 29 სექტემბერი.

“ჩერნომორეცი” (ოდესა) – “დინამო” (თბილისი) – 1:1 (0:1).

“ჩერნომორეცი”: იარჩუკი (ალტმანი), კუზმინი, რეშკო, ზუბკოვი, მოსკვიჩოვი, მოსკალენკო, საკეჩი, საპოჟნინი, პროკოპენკო, მასლოვი, ვარგა (შიმანოვიჩი).

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, რეხვიაშვილი, ჭოხონელიძე, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, გავაშელი, გ. ნოდია, ლ. ნიდია.

მსაჯი: ვ. ტოლჩინსკი (ალმა-ათა).

დუბლიორები – 1:1.

თამაშის დაწყებიდან 3 წუთიც არ იყო გასული, მეკარეებმა კი უკვე მოასწრეს თავიანთი ოსტატობის დემონსტრირება. ჯერ იყო და მოსკალენკომ მიიღო ზუსტი გადაცემა საჯარიმო მოედნის მისადგომებთან, მოატყუა თბილისელთა მცველი და ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი დაბალ კუთხეში. ურუშაძემ დიდის გაჭირვებით მოიგერია იგი კუთხურზე. საპასუხო შეტევა თბილისელებმა მეტად ეფექტურად გაითამაშეს და ბურთი გადააწოდეს უმეთვალყურეოდ დარჩენილ კუტივაძეს, რომელმაც შეუჩერებლივ დაარტყა კარში. ახლა კი იარჩუკს დასჭირდა აკრობატული ნახტომი ბურთის პირით ხაზს იქით გადასაგდებად.

შესვენებამდე შეტევებით, უფრო მეტად, ოდესელები იყვნენ გართულნი. “დინამომ” სწორად წარმართა თამაში: მან ჯერ თავისი კარის უსაფრთხოება მოაგვარა, შემდეგ კი წამოიწყო საპასუხო კონტრშეტევები. იერიშებით გართულმა ოდესელებმა დაკარგეს სიფრთხილე და სტუმრების კონტრშეტევებმაც ერთობ სახიფათო ხასიათი მიიღეს.

ფეხბურთში ხშირად ხდება ასე: უტევს ერთი მხარე, გოლი კი მეორეს გააქვს. ამჯერადაც ასე მოხდა. 38-ე წუთზე გავაშელის პერსონალურმა მეურვემ ზუბკოვმა გრძელი რეიდი განიზრახა, მაგრამ დაკარგა ბურთი. თბილისელთა ნახევარმცველებმა სწორად შეაფასეს სიტუაცია და პასი “უპატრონოდ” დარჩენილ გავაშელს გადასცეს. დინამოელმა მწარედ დატუქსა ოდესელთა მცველი კადნიერებისთვის და ზუსტი დარტყმით წინ გაიყვანა თავისი კოლექტივი – 1:0.

შესვენების შემდეგ “ჩერნომორეცის” შეტევებს უფრო რეალური საფუძველი მიეცა. თანაც, მცველები ამჯერად ყურადღებით აკონტროლებდნენ საჯარიმო მოედნის მისადგომებს. 75-ე წუთზე ზუბკოვმა გამოასწორა პირველ ტაიმში დაშვებული შეცდომა და უძლიერესი დარტყმით აღადგინა წონასწორობა – 1:1.

ო. ბუჩმა (ტელეფონით, ჩვენი საკ. კორ.).

“ლელო”, 1 ოქტომბერი, 1969 წ.